ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N7

დაბა ქედა 24 ნოემბერი, 2025 წელი.

სხდომა დაიწყო 15:30 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 15:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ნაზიმ ჩხეიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - კომისიის წევრი;
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
თენგიზ ყადიძე - კომისიის წევრი;
დურმიშხან შავიშვილი - კომისიის წევრი;
გივი ლორთქიფანიძე - კომისიის წევრი;
ზვიად არძენაძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ
რამაზ ალიქაძე - კომისიის წევრი;
მზია ბოლქვაძე - კომისიის წევრი

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;
საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ნანა ბერიძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

24.11.2025 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ნაზიმ ჩხეიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
3	გივი ლორთქიფანიძე	კომისიის წევრი	
4	ზვიად არძენაძე	კომისიის წევრი	
5	დურმიშხან შავიშვილი	კომისიის წევრი	
6	რომან დავითაძე	კომისიის წევრი	
7	რამაზ ალიქაძე	კომისიის წევრი	
8	თენგიზ ყადიძე	კომისიის წევრი	
9	მზია ბოლქვაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტი.**

მომხსენებელი: სოციალურ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე ნაზიმ ჩხეიძე

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტი (განცხადების ნომერი:12-95253182-95; განცხადების თარიღი: 14.11.2025 წელი).

კომისიის წევრებმა ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით დააფიქსირა შემდეგი წინადადებები:

1. სოფელ ჯალაბაშვილების საჯარო სკოლის ტერიტორიაზე მინი სტადიონის მოწყობა;
2. სოფლების - ხარაულისა და ჯალაბაშვილების სასმელი წყლის სათავის მოწყობა;
3. სოფელი დანდალო, ოტოლაძეებისა და ჟანივრის უბნის სასმელი წყლის სათავის მოწყობა;
4. სოფელ დანდალო, ოტოლაძეებისა და არძენაშვილების უბანში სასაფლაოს ტერიტორიაზე ფერდ სამაგრი კედელის ჩამოსხმა.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტზე კომისიის წევრებს სხვა შენიშვნები/წინადადებები არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

1. კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შესახებ წარმოდგენილი წინადადებები იქნას მოწონებული.

2. კომისიის გადაწყვეტილება დასკვნის სახით ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის საფინანსო - საბიუჯეტო კომისიას.

კომისიის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ 2025 წლის 24 ნოემბერს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პარტია ,,ძლიერი საქართველო-ლელო"-ს წევრმა - ჯამბულ შარაბიძემ შემოიტანა განცხადება ,,ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში პირველკლასელთა კვების უზრუნველყოფის თაობაზე" (განცხადების ნომერი:19/95253281-95; განცხადების თარიღი: 24.11.2025 წელი).

აზრი გამოთქვეს:

რომან დავითაძემ აღნიშნა, რომ სკოლებში კვების საკითხი რთული თემაა, მეტად საპასუხისმგებლო და საფრთხილოა, ამიტომ არ არის მიზანშეწონილი საკითხის გათვალისწინება.

დურმიშხან შავიშვილმა აღნიშნა, რომ ჩვენ არ ვიცით მშობლების პოზიცია, თითოეული პირველკლასელის მშობელი რამდენადაა თანახმა, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს მისი შვილის კვების საკითხი. ასევე, არცერთი მშობლისგან მსგავსი პრობლემის შესახებ წინადადება არ არის ცნობილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 0
წინააღმდეგი: 7

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეუწონლად იქნეს მიჩნეული ,,ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში პირველკლასელთა კვების უზრუნველყოფის თაობაზე" წარმოდგენილი წინადადების მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინება.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 15:30 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ნაზიმ ჩხეიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ნანა ბერიძე**
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში